სარეცხი მანქანის გამოყენებამდე, მოხსენით მის ქვეშ არსებული შესაფუთი მასალა (ღრუბელი, პენოპლასტი).

მოწყობილობა არ გამოიყენოთ ბენზინით, ნავთით, ბენზინით, საღებავის გამხსნელით, სპირტით ან სხვა აალებადი და ფეთქებადსაშიში მასალით დაბინძურებული საგნების გასარეცხად.

- ამან შეიძლება გამოიწვიოს ელექტროჩხვლეტა, ხანძარი ან აფეთქება.

არ სცადოთ სარეცხი მანქანის კარის გაღება ძალის გამოყენებით მისი მუშაობის პროცესში (მაღალ ტემპერატურაზე რეცხვა/გაშრობა/ბრუნვა).

- სარეცხი მანქანიდან გადმოსულმა წყალმა შეიძლება დამწვრობა გამოიწვიოს, ან სველ იატაკზე ფეხის დაცურების საფრთხე წარმოქმნას. ამან შეიძლება სხეულის დაზიანება გამოიწვიოს.
- ძალის გამოყენებით კარის გაღებამ შეიძლება მოწყობილობის დაზიანება ან სხეულის დაშავება გამოიწვიოს.

არ შეეხეთ ელექტროჩანგალს სველი ხელებით.

- ამან შეიძლება ელექტროჩხვლეტა გამოიწვიოს.

არ გამოტოვოთ მოწყობილობის კვების სადენი კვების წყაროდან მისი მუშაობის პროცესში.

- ელექტროჩანგლის კვების წყაროში ხელახალი ჩართვის შემთხვევაში შეიძლება ნაპერწკალი წარმოიქმნას, რამაც შეიძლება ელექტროჩხვლეტა ან ხანძარი გამოიწვიოს.

არ მისცეთ ბავშვს უფლება შეძერეს სარეცხი მანქანის კამერაში ან ავიდეს მასზე.

- ამან შეიძლება ელექტროჩხვლეტა, დამწვრობა ან სხეულის დაზიანება გამოიწვიოს.

როდესაც სარეცხი მანქანა ჩართულია, არ შეეხეთ ხელი ან ლითონის საგანი მის ქვეშ.

- ამან შეიძლება სხეულის დაზიანება გამოიწვიოს.

არ ჩახსნათ მოწყობილობა კვების წყაროდან მისი დენის კაბელის გამოქაჩვით. ყოველთვის მჭიდროდ მოკიდეთ ხელი ელექტროჩანგალს და თქვენსკენ გამოიწვიოთ.

- დენის კაბელის დაზიანებამ შეიძლება მოკლე ჩართვა, ხანძარი და/ან ელექტროჩხვლეტა გამოიწვიოს.

არ სცადოთ ტექნიკის საკუთარი ხელით შეკეთება, დაშლა ან მოდიფიკაცია.

- არ გამოიყენოთ არასტანდარტული მცველები (სპილენძის ან ფოლადის მავთული და ა.შ.).
- როდესაც საჭიროა თქვენი მოწყობილობის შეკეთება ან ხელახალი მონტაჟი, დაუკავშირდით უახლოეს მომსახურების ცენტრს.
- წინააღმდეგ შემთხვევაში ამან შეიძლება გამოიწვიოს ელექტროჩხვლეტა, ხანძარი, თქვენი პროდუქტის მწყობრიდან გამოსვლა ან სხეულის დაზიანება.



წყლის მიწოდების მილი ონკანიდან ჩახსნის და მოწყობილობის დასველების შემთხვევაში, ჩახსენით დენის სადენი კვების წყაროდან.

- წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება ელექტროჩხვლეტა ან ხანძარი გამოიწვიოს.

ჩახსენით დენის სადენი კვების წყაროდან, როდესაც არ აპირებთ თქვენი მოწყობილობის გამოყენებას დიდი ხნის განმავლობაში ან ჭექა-ქუხილის დროს.

- წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება ელექტროჩხვლეტა ან ხანძარი გამოიწვიოს.

სარეცხ მანქანაში უცხო სხეულის მოხვედრის შემთხვევაში, ჩახსენით დენის სადენი კვების წყაროდან და დაუკავშირდით უახლოეს Samsung-ის მომსახურების ცენტრს.

- ამან შეიძლება ელექტროჩხვლეტა ან ხანძარი გამოიწვიოს.

არ მისცეთ ბავშვებს (ან შინაურ ცხოველებს) სარეცხ მანქანაში ან მასზე თამაშის უფლება. სარეცხი მანქანის კარის შიგნიდან გაღება ადვილი არ არის, ამიტომ კამერაში ჩაკეტვის შემთხვევაში ბავშვი შეიძლება სერიოზულად დაშავდეს.

გამოყენებასთან დაკავშირებული გაფრთხილებები

⚠ გაფრთხილება

სარეცხი მანქანის დაბინძურებისას უცხო სხეულებით, როგორცაა სარეცხი საშუალებები, ტალახი, საკვების ნარჩენები და სხვა, ჩახსენით დენის სადენი კვების წყაროდან და გაწმინდეთ მოწყობილობა სველი, რბილი ქსოვილით.

- წინააღმდეგ შემთხვევაში ამან შეიძლება ლაქების წარმოქმნა, დეფორმაცია, დაზიანება ან ჟანგის გაჩენა გამოიწვიოს.

ძლიერმა დარტყმამ შეიძლება წინა მინის გატეხვა გამოიწვიოს. სარეცხი მანქანის გამოყენების დროს გამოიჩინეთ სიფრთხილე.

- მინის გატეხვამ შეიძლება სხეულის დაზიანება გამოიწვიოს.

ნელა გახსენით წყლის ონკანი დიდი ხნის გამოუყენებლობის, წყალმომარაგების გაუმართაობის ან წყალმომარაგების მილის ხელახლა შეერთების შემდეგ.

- წყლის მიწოდების მილში და წყლის მილში არსებულმა ჰაერის წნევამ შეიძლება თქვენი მოწყობილობის კომპონენტები დაზიანოს და წყლის გაჟონვა გამოიწვიოს.

მოწყობილობის მუშაობის დროს თუ დაფიქსირდა დრენაჟის ხარვეზი, შეამოწმეთ, ხომ არ არის რაიმე პრობლემა წყლისგან დაცლის სისტემაში.

- წყლისგან დაცლის სისტემის პრობლემის გამო დასველებული სარეცხი მანქანის გამოყენებამ შეიძლება ელექტროჩხვლეტა ან ხანძარი გამოიწვიოს.

სარეცხ მანქანაში სარეცხი ისე მოათავსეთ, რომ მისი ნაწილი კარში არ მოყვას.

- სარეცხის კარში მოყოლის შემთხვევაში, შეიძლება სარეცხი დაზიანდეს, სარეცხი მანქანა მწყობრიდან გამოვიდეს, ან სარეცხი მანქანიდან წყალმა გაჟონოს.

როდესაც სარეცხ მანქანას არ იყენებთ, გადაკეტეთ წყლის მიწოდების მილი.

- დარწმუნდით, რომ წყლის მიწოდების მილში სამაგრზე არსებული ხრახნები სათანადოდ არის მოჭერილი.



უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია

დარწმუნდით, რომ რეზინის შუასადები და წინა კარის მინა არ არის დაბინძურებული უცხო საგნებით (მაგ. ნარჩენებით, ძაფებით, თმებით და ა.შ.).

- კარში უცხო საგნის მოყოლის ან კარის არასრულად დაკეტვის შემთხვევაში, სარეცხი მანქანიდან შეიძლება წყალმა გაჟონოს.

გახსენით წყლის ონკანი და მოწყობილობის ჩართვამდე შეამოწმეთ, თუ არის წყლის მიწოდების მილის სამაგრი მჭიდროდ მოჭერილი და მანქანიდან წყალი ხომ არ ჟონავს.

- წყლის მიწოდების მილის სამაგრის ხრახნების მოშვებამ შეიძლება წყლის გაჟონვა გამოიწვიოს.

მოწყობილობა, რომელიც თქვენ შეიძინეთ, განკუთვნილია მხოლოდ სახლის პირობებში გამოყენებისთვის.

ამ მოწყობილობის გამოყენება ბიზნეს საქმიანობისთვის მის არადანიშნულებისამებრ გამოყენებად ჩაითვლება. შედეგად, Samsung-ის მიერ განსაზღვრული სტანდარტული გარანტია გაუქმებულად გამოცხადდება და Samsung მოიხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას ამ მოწყობილობის გაუმართაობის ან დაზიანების შემთხვევაში, რაც მისი არასათანადო გამოყენებით არის გამოწვეული.

არ დადგეთ მასზე ან არ მოათავსოთ რაიმე საგნები სარეცხ მანქანაზე (მაგალითად სარეცხი, ანთებული სანთლები, ანთებული სიგარეტი, ჭურჭელი, ქიმიკატები, ლითონის საგნები და ა.შ.).

- ამან შეიძლება ელექტროჩხვლეტა, ხანძარი, პროდუქტის მწყობრიდან გამოსვლა ან სხეულის დაზიანება გამოიწვიოს.

სარეცხი მანქანის ზედაპირებზე არ შეასხუროთ აქროლადი ნივთიერებები, მაგალითად ინსექტიციდები.

- გარდა იმისა, რომ ეს ნივთიერებები მავნებელია ადამიანისთვის, ამან ასევე შეიძლება ელექტროჩხვლეტა, ხანძარი ან მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლა გამოიწვიოს.

სარეცხი მანქანის სიახლოვეს არ მოათავსოთ საგნები, რომლებიც წარმოადგენს ელექტრომაგნიტური ველის წყაროს.

- ამან შეიძლება პროდუქტის გაუმართაობა, შედეგად კი სხეულის დაზიანება გამოიწვიოს.

მაღალ ტემპერატურაზე რეცხვის ან შრობის ციკლის დროს სარეცხი მანქანიდან გამოსული წყალი ცხელია. არ შეეხოთ ამ წყალს.

- ამან შეიძლება დამწვრობა ან სხეულის დაზიანება გამოიწვიოს.

წყლისგან დაცლის დრო, წყლის ტემპერატურიდან გამომდინარე, შესაძლოა განსხვავებული იყოს. თუ წყლის ტემპერატურა ძალიან მაღალია, დაცლის პროცესი წყლის გაგრილების შემდეგ დაიწყება.

არ გარეცხოთ, გაწუროთ ან გააშროთ წყალგაუმტარი სავარძლის გადასაფარებლები, ხალიჩები და ტანსაცმელი (*) თუ თქვენს სარეცხ მანქანას არ გააჩნია მსგავსი საგნებისთვის განკუთვნილი სპეციალური ციკლის ფუნქცია.



(*): შალის საწოლის თეთრეული, სანვიმრები, მეთევზის ჟილეტები, სათხილამურო კომბინეზონები, საძილე ტომრები, ბავშვის საფენის გადასაკრავები, სავარჯიშო კოსტიუმები, ველოსიპედის, მოტოციკლეტის და მანქანის შალითები და ა.შ.

- არ გარეცხოთ სქელი და უხეში ხალიჩები მაშინაც კი, თუ მათ იარღიყებზე სარეცხი მანქანით რეცხვის ნებართვის სიმბოლოებია დატანილი. ამან შეიძლება ძლიერი ვიბრაციები, შედეგად კი სხეულის დაშავება ან სარეცხი მანქანის, კედლების, იატაკის ან ტანსაცმლის დაზიანება გამოიწვიოს.
- არ გარეცხოთ რეზინის ძირიანი ხალიჩები ან კართან დასაფენი ფეხის სანმენდები. ამ საგნებს შეიძლება რეზინის ძირი მოძვრეს, დოლურას მიეკრას და გაუმართაობა, მაგალითად, წყლისგან დაცლის პრობლემა გამოიწვიოს.

არ ჩართოთ სარეცხი მანქანა, როდესაც სარეცხი საშუალების უკრა ამოღებულია.

- ამან შეიძლება წყლის გაჟონვა, შედეგად კი ელექტროჩხვლეტა გამოიწვიოს.

არ შეეხოთ დოლურას შიდა ზედაპირს უშუალოდ გაშრობის ციკლის დასრულების შემდეგ, რადგან ამ დროს დოლურა ჯერ კიდევ ცხელია.

- ამან შეიძლება დამწვრობა გამოიწვიოს.

კარის შუშა რეცხვისა და შრობისას ცხელდება. შესაბამისად, არ შეეხოთ კარის შუშას.

ამასთანავე, არ მისცეთ ბავშვებს უფლება, ითამაშონ სარეცხი მანქანის სიახლოვეს ან შეეხოთ კარის შუშას.

- ამან შეიძლება დამწვრობა გამოიწვიოს.

არ შეყოთ ხელი სარეცხი საშუალების უკრის ლიობში.

- ამან შეიძლება სხეულის დაზიანება გამოიწვიოს, რადგან შეიძლება სარეცხი საშუალების შეტანის მექანიზმში ხელი მოგყვებოდეს.

როდესაც სარეცხი ფხვნილის იყენებთ, მოხსენით თხევადი სარეცხი საშუალების მიმმართველი (მხოლოდ შესაბამისი მოდელები).

- წინააღმდეგ შემთხვევაში წყალმა შესაძლოა სარეცხი საშუალების უკრის წინა მხარეს გაჟონოს.

სარეცხი მანქანაში არ მოათავსოთ სხვა საგნები (ფეხსაცმელები, საკვების ნარჩენები, ცხოველები) გარდა სარეცხისა.

- ამან შეიძლება ძლიერი ვიბრაციები, შედეგად კი სარეცხი მანქანის მწყობრიდან გამოსვლა, ხოლო ცხოველების შემთხვევაში მათი დაშავება და სიკვდილი გამოიწვიოს.

ლილაკებზე დასაჭერად არ გამოიყენოთ ბასრი საგნები, მაგალითად ქინძისთავები, დანები, ფრჩხილები და ა.შ.

- ამან შეიძლება ელექტროჩხვლეტა ან სხეულის დაზიანება გამოიწვიოს.

არ გარეცხოთ სარეცხი, რომელიც დაბინძურებულია იმ ზეთებით, კრემებით ან ლოსიონებით, რომლებსაც ჩვეულებრივ კანის მოვლის და მასაჟის სალონებში იყენებენ.

- ამან შეიძლება რეზინის შუასადების დეფორმაცია და შედეგად წყლის გაჟონვა გამოიწვიოს.



უსაფრთხოების შესახებ ინფორმაცია

არ დატოვოთ ლითონის საგნები, მაგალითად ქინძისთავები, თმის სამაგრები ან მათეთრებელი დოლურაში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

- ამან შეიძლება დოლურას დაჟანგვა გამოიწვიოს.
- თუ დოლურას ზედაპირზე ჟანგის ნიშნებს შეამჩნევთ, მის ზედაპირზე დაიტანეთ (ნეიტრალური) სანმენდი საშუალება და შემდეგ განმინდეთ ღრუბლის საშუალებით. არასოდეს გამოიყენოთ ლითონის ჯაგრისი.

არ გამოიყენოთ ქიმიური წმენდის საშუალებები და არ გარეცხოთ, გაავლოთ და გაწუროთ სარეცხი, რომელიც დაბინძურებულია ქიმიური წმენდის საშუალებებით.

- ზეთის ჟანგბადთან მიერთების პროცესის დროს გამოყოფილმა სითბომ შეიძლება თვითაალებად და ხანძრის გაჩენა გამოიწვიოს.

არ ჩაასხათ სარეცხ მანქანაში წყლის გაგრილების/გაცხელების მოწყობილობიდან გამოსული წყალი.

- ამან შეიძლება სარეცხი მანქანის მუშაობას პრობლემები შეუქმნას.

სარეცხ მანქანაში არ გამოიყენოთ ნატურალური ხელსაბანი საპონი.

- მისი ნარჩენების გამყარებამ და სარეცხ მანქანაში დაგროვებამ შეიძლება სარეცხი მანქანის მუშაობის პრობლემები, მისი ზედაპირის ფერის შეცვლა, დაჟანგვა და ცუდი სუნის გაჩენა გამოიწვიოს.

წინდები და ლიფები მოათავსეთ სარეცხ ბადეში და გარეცხეთ სხვა სარეცხთან ერთად.

არ გამოიყენოთ სარეცხი ბადე დიდი ზომის ნივთებისთვის, მაგალითად საწოლის თეთრეულისთვის.

- წინააღმდეგ შემთხვევაში ამან შეიძლება ძლიერი ვიბრაციები, შედეგად კი სხეულის დაზიანება გამოიწვიოს.

არ გამოიყენოთ ნადების წარმოქმნელი სარეცხი საშუალებები.

- სარეცხ მანქანაში მისი დაგროვების შემთხვევაში მათ შეიძლება წყლის გაჟონვა გამოიწვიონ.

გარეცხვამდე, არ დაგავიწყდეთ გასარეცხი ტანსაცმლის ჯიბეების შემოწმება და დაცლა.

- მყარ, ბასრ საგნებს, როგორიცაა მონეტები, ქინძისთავები, ლურსმნები, ხრახნები ან ქვები, შეუძლია სერიოზული ზიანი მიაყენოს თქვენს მოწყობილობას.

არ გარეცხოთ ტანსაცმელი, რომელზეც დამაგრებულია დიდი ზომის ბალთები, ლილები ან სხვა მძიმე ლითონის საგნები.

დაახარისხეთ ტანსაცმელი ფერების მიხედვით, ფერების მდგრადობის გათვალისწინებით და შეარჩიეთ შესაბამისი ციკლი, წყლის ტემპერატურა და სხვა დამატებითი ფუნქციები.

- წინააღმდეგ შემთხვევაში ამან შეიძლება სარეცხის ფერის შეცვლა ან ქსოვილის დაზიანება გამოიწვიოს.

კარის დაკეტვის დროს გამოიჩინეთ სიფრთხილე, რათა ბავშვებს კარში თითები არ მოყვებთ.

- წინააღმდეგ შემთხვევაში ამან შეიძლება სხეულის დაზიანება გამოიწვიოს.

ცუდი სუნისა და ობის პრევენციისთვის, რეცხვის ციკლის შემდეგ კარი ღია დატოვეთ, რათა დოლურამ გაშრობა მოახერხოს.

კირის ნადების წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად რეცხვის ციკლის შემდეგ სარეცხი საშუალების უკრა ღია დატოვეთ და შიგნიდან გააშროალეთ.



წმენდასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გაფრთხილებები

⚠ ფრთხილად

არ გაწმინდოთ თქვენი მოწყობილობა წყლის უშუალოდ მის ზედაპირებზე შესხურებით.

არ გამოიყენოთ ძლიერი მჟავას შემცველი საწმენდი საშუალებები.

თქვენი მოწყობილობის საწმენდად არ გამოიყენოთ ბენზინი, გამხსნელი ან სპირტი.

- ამან შეიძლება ზედაპირების ფერის შეცვლა, დეფორმაცია, დაზიანება, ელექტროჩხვლეტა ან ხანძარი გამოიწვიოს.

წმენდის ან ტექმომსახურების დაწყებამდე, გათიშეთ სარეცხი მანქანა დენის წყაროდან.

- წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება ელექტროჩხვლეტა ან ხანძარი გამოიწვიოს.

ელექტრო და ელექტრონული აღჭურვილობის ნარჩენების (WEEE) გადამუშავებასთან დაკავშირებული ინსტრუქციები



თქვენი პროდუქტის სათანადო უტილიზაცია (ელექტრო და ელექტრონული აღჭურვილობის ნარჩენების გადამუშავება)

(ეხება ქვეყნებს, სადაც დანერგილია ნარჩენების შეგროვების განცალკევებული სისტემები)

თქვენს პროდუქტზე, აქსესუარებზე ან სახელმძღვანელოში მოცემული ეს სიმბოლო მიუთითებს, რომ ამ პროდუქტის და მისი ელექტრონული აქსესუარების (მაგ. დამტენი, ყურსასმენი, USB სადენი) უტილიზაცია არ უნდა მოხდეს სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ნარჩენების უკონტროლო უტილიზაციით გამოწვეული ეკოლოგიური და ადამიანის ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანი, ეს საგნები სხვა სახის ნარჩენებისგან უნდა განცალკევდეს და გონივრულად უნდა მოხდეს მათი გადამუშავება, რაც გაზრდის მატერიალური რესურსების ხელახლა გამოყენების პროცესის ეფექტურობას.

საყოფაცხოვრებო ტექნიკის მომხმარებელი უნდა დაუკავშირდეს ამ პროდუქტის მომწოდებელს ან შესაბამის ადგილობრივ სამთავრობო უწყებას და მოითხოვოს ინფორმაცია, თუ სად და როგორ უნდა იქნას გადატანილი ეს მოწყობილობა მისი ეკოლოგიურად უსაფრთხო მეთოდით გადამუშავებისთვის.

კომერციული დანიშნულების ტექნიკის მომხმარებელი უნდა დაუკავშირდეს მომწოდებელს შესყიდვის ხელშეკრულების პირობების გასაცნობად. ამ პროდუქტის და მისი ელექტრონული აქსესუარების უტილიზაცია არ უნდა მოხდეს სხვა კომერციული ტექნიკის ნარჩენებთან ერთად.

Samsung-ის გარემოსდაცვითი ვალდებულებებისა და პროდუქტის მარეგულირებელი ვალდებულებების შესახებ ინფორმაციისთვის, მაგ., REACH, WEEE ან ბატარეები, ეწვიეთ ჩვენს ეკომეგობრულობის გვერდს, რომელიც ხელმისაწვდომია www.samsung.com-ზე.




მონტაჟი

სამონტაჟო

ყურადღებით დაიცავით ეს ინსტრუქციები, რათა უზრუნველყოფილი იყოს სარეცხი მანქანის სათანადო მონტაჟი და თავიდან იქნეს აცილებული უბედური შემთხვევები რეცხვისას.

რას მოიცავს

დარწმუნდით, რომ პროდუქტის კომპლექტი ყველა ნაწილს მოიცავს. თუ სარეცხი მანქანასთან ან მის ნაწილებთან დაკავშირებით პრობლემა შეგექმნათ, Samsung-ის მომხმარებელთა მომსახურების ადგილობრივ ცენტრს ან საცალოდ მოვაჭრეს დაუკავშირდით.



01 აშვების ბერკეტი

02 სარეცხი საშუალების უჭრა

03 მართვის პანელი

04 კარი

05 დოლურა

06 ნარჩენების ფილტრი

07 წყლისგან ავარიული
დაცლის მილი

08 ფილტრის ხუფი

09 სახურავი

10 ელექტროჩანგალი

11 წყლის დაცლის მილი

12 მარეგულირებელი ფეხები






ქანჩი



ჭანჭიკების ქუდები



მილის მიმმართველი



ცივი წყლის მილი



ცხელი წყლის მილი



თავსახურის ფიქსატორი

შენიშვნა

- ქანჩი: ტრანსპორტირების ჭანჭიკების მოსახსნელად და სარეცხი მანქანის გასასწორებლად.
- ჭანჭიკების ქუდები: ხვრელების დასაფარად ტრანსპორტირების ჭანჭიკების მოხსნის შემდეგ. კომპლექტში შემავალი ჭანჭიკების ქუდების რაოდენობა (სამიდან ექვსამდე) მოდელზეა დამოკიდებული.
- მილის მიმმართველი: წყლის დამცლელი მილის დასაკიდებლად სადრენაჟო მილზე ან პირსაბანზე.
- ცივი/ცხელი წყლის მილი: წყლის მისაწოდებლად სარეცხი მანქანისთვის. (ცხელი წყლის მილები მხოლოდ შესაბამის მოდელებში გამოიყენება).



მონტაჟი

მონტაჟთან დაკავშირებული მოთხოვნები

კვების წყაროს პარამეტრები და დამინება

- გამოიყენეთ კონკრეტულად სარეცხი მანქანისთვის განკუთვნილი ინდივიდუალური წრედი.

სათანადო დამინების უზრუნველსაყოფად, თქვენს სარეცხ მანქანას გააჩნია დენის სადენი, რომელიც აღჭურვილია სამ-ლერიოანი, დამინების კონტაქტის მქონე ელექტროჩანგლით, რომელიც უნდა შეერთდეს სათანადოდ დამონტაჟებულ და დამინებულ დენცეპიტაში.

თუ არ ხართ დარწმუნებული თქვენი დამინების სისტემის შესაბამისობაში, დაუკავშირდით კვალიფიციურ ელექტრიკოსს ან მომსახურების ცენტრის სპეციალისტს.

არ მოახდინოთ თქვენს მოწყობილობასთან ერთად მოწოდებული ელექტროჩანგლის მოდიფიკაცია. თუ ის არ ერგება თქვენს დენცეპიტას, დაუკავშირდით კვალიფიციურ ელექტრიკოსს, რომელიც შესაბამის დენცეპიტას დაგიმონტაჟებთ.

⚠ ფრთხილად

- არ გამოიყენოთ გამაგრძელებელი სადენი.
- გამოიყენეთ მხოლოდ ის დენის სადენი, რომელიც მოწოდებულია თქვენს სარეცხ მანქანასთან ერთად.
- არ მიაერთოთ დამინების სადენი პლასტმასის წყალსადენ მილზე, გაზსადენზე ან ცხელი წყლის მილზე.
- არასწორად დამონტაჟებულმა დამინების სადენმა შეიძლება ელექტროჩხვლეტა გამოიწვიოს.

წყლის მიწოდება

ამ სარეცხი მანქანისთვის მიწოდებული წყლის წნევა უნდა იყოს 50 კპა-დან 800 კპა- მდე. 50 კპა-ზე ნაკლები წყლის წნევის შემთხვევაში, შესაძლოა, წყლის სარქველი ბოლომდე არ დაიხუროს. ან, შესაძლოა, დოლურის ავსებას მეტი დრო დასჭირდეს, რაც სარეცხი მანქანის გამორთვას გამოიწვევს. წყლის ონკანი განთავსებული უნდა იყოს სარეცხი მანქანის უკანა კედლიდან მაქსიმუმ 120 სმ-ის დაშორებით, რათა შემაგალი წყლის მილი მისწვდეს სარეცხ მანქანას.

გაჟონვის რისკის შესამცირებლად:

- დარწმუნდით, რომ წყლის ონკანი ადვილად მისაწვდომ ადგილასაა განთავსებული.
- როდესაც სარეცხ მანქანას არ იყენებთ, ჩაკეტეთ ონკანები.
- რეგულარულად შეამოწმეთ შემაგალი წყლის მილის ფიტირები.

⚠ გაფრთხილება

სარეცხი მანქანის პირველად გამოყენებამდე, შეამოწმეთ წყალი ხომ არ ჟონავს წყლის სარქველის და ონკანის შეერთების ადგილებიდან.

წყლისგან დაცლა

Samsung-ის რეკომენდაციაა გამოყენებულ იქნას 60-90 სმ სიმაღლის დაწნევითი მილი. წყლის დაცლის მილი დაწნევით მილს შლანგის ცალკულით უნდა იყოს მიერთებული, ხოლო დაწნევითი მილი სრულად უნდა ფარავდეს წყლის დაცლის მილს.



იატაკი

სარეცხი მანქანის მაქსიმალურად ეფექტურად მუშაობისთვის, ის უნდა განთავსდეს მყარ იატაკზე. ხის იატაკს შესაძლოა დამატებითი გამყარება დასჭირდეს, რათა მინიმუმამდე შემცირდეს ვიბრაცია და/ან სიმძიმის არათანაბარი გადანაწილება. ხალიჩა და რბილი ფილები ვიბრაციის შემცირების კარგ საშუალებას არ წარმოადგენს და გაწურვის ციკლის დროს შეიძლება სარეცხი მანქანის მცირედი გადაადგილება გამოიწვიოს.

▲ გაფრთხილება

არ დაამონტაჟოთ სარეცხი მანქანა პლატფორმაზე ან არასათანადოდ გამაგრებულ კონსტრუქციაზე.

წყლის ტემპერატურა

არ დაამონტაჟოთ სარეცხი მანქანა იმ ადგილას, სადაც არსებობს წყლის გაყინვის ალბათობა, რადგან მცირე რაოდენობის წყალი ყოველთვის რჩება სარქველებში, ტუმბოებში და/ან მილებში. შეერთების ადგილებში არსებული წყლის გაყინვამ შეიძლება დააზიანოს ღვედები, ტუმბო ან სარეცხი მანქანის სხვა კომპონენტები.

ალკოვში ან კედელში ჩამონტაჟებულ კარადაში დაყენება

სტაბილური მუშაობისთვის საჭირო მინიმალური სივრცე:

გვერდები	25 მმ
ზევით	25 მმ
უკან	50 მმ
წინ	550 მმ

თუ საშრობს სარეცხ მანქანასთან ერთად ამონტაჟებთ, ალკოვის ან კედელში ჩამონტაჟებული კარადის წინა მხარეს მინიმუმ 550 მმ დაუბრკოლებელი საჰაერო ლიობი უნდა ჰქონდეს. თქვენს სარეცხ მანქანას თავის მხრივ არ ესაჭიროება საჰაერო სივრცე.



მონტაჟი

მონტაჟის საფეხურები

ნაბიჯი 1 აირჩიეთ ადგილმდებარეობა

ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნები:

- მყარი, სწორი ზედაპირი, ხალიჩის ან სხვა სახის იატაკის საფენის გარეშე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ვენტილაციას
- პირდაპირი მზის სხივებისგან მოშორებული ადგილი
- ოთახი სათანადო ვენტილაციით და ელექტროგაყვანილობით
- გარემოს ტემპერატურა მუდმივად გაყინვის ტემპერატურაზე (0°C) მაღალი უნდა იყოს
- სითბოს წყაროსგან მოშორებული ადგილი

ნაბიჯი 2 მოხსენით ტრანსპორტირების ჭანჭიკები

ამოიღეთ პროდუქტი შეფუთვიდან და მოხსენით ტრანსპორტირების ჭანჭიკები.


შენიშვნა

ტრანსპორტირების ჭანჭიკების რაოდენობა შეიძლება მოდელის მიხედვით განსხვავდებოდეს.

ფრთხილად

- შესაფუთი მასალები შეიძლება სახიფათო იყოს ბავშვებისთვის. ყველა შესაფუთი მასალა (პლასტმასის პაკეტები, პოლისტიროლი და ა.შ.) მოათავსეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.
- სხეულის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, ტრანსპორტირების ჭანჭიკების მოხსნის შემდეგ ხვრელები ჭანჭიკების ქუდებით დაფარეთ. არ გადაიტანოთ სარეცხი მანქანა, თუ ტრანსპორტირების ჭანჭიკები მოხსნილი იქნება. სარეცხი მანქანის გადატანამდე დაამაგრეთ ტრანსპორტირების ჭანჭიკები. ტრანსპორტირების ჭანჭიკები სამომავლოდ გამოსაყენებლად დაცულ ადგილას შეინახეთ.





1. ტრანსპორტირების ჭანჭიკებს (ნახატზე გამოსახულია წრით) სარეცხი მანქანის უკანა მხარეს იპოვით.

⚠ გაფრთხილება

არ ამოიღოთ ხრახნი (A) , რომელიც აფიქსირებს მილის დამჭერს.


2. მოუშვით ტრანსპორტირების ჭანჭიკები მოწოდებული ქანჩის მეშვეობით, რისთვისაც ისინი საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით დაატრიალეთ.

📖 შენიშვნა

ტრანსპორტირების ჭანჭიკები სამომავლოდ გამოსაყენებლად უნდა შეინახოთ.


მონტაჟი

საშენი




3. ჩასვით ჭანჭიკების ქუდები (B) ხვრელებში (ნახატზე გამოსახულია წრით).


ნაბიჯი 3 გაასწორეთ დასარეგულირებელი ფეხები



1. ფრთხილად მიაცურეთ სარეცხი მანქანა მონტაჟისთვის შერჩეულ ადგილას. ზედმეტი ძალის გამოყენებამ შეიძლება დააზიანოს დასარეგულირებელი ფეხები.
2. სარეცხი მანქანის გასასწორებლად ხელით დაატრიალეთ დასარეგულირებელი ფეხები.



3. გასწორების დასრულების შემდეგ დაუჭირეთ ქანჩები მოწოდებული ქანჩის გასაღების გამოყენებით.



⚠ გაფრთხილება

პროდუქტის დამონტაჟებისას დარწმუნდით, რომ მარეგულირებელი ფეხები დენის კაბელს არ აწევენ.

⚠ გაფრთხილება

დარწმუნდით, რომ მარეგულირებელი ფეხები იატაკის ზედაპირს ეყრდნობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სარეცხი მანქანის გადაადგილება ან ხმაური, გამოწვეული ვიბრაციით. შემდეგ შეამოწმეთ, ხომ არ ირყევა სარეცხი მანქანა. თუ სარეცხი მანქანა არ ირყევა, მოუჭირეთ ქანჩებს.




მონტაჟი


ნაბიჯი 4 შეერთეთ წყლის მილი

მოწოდებული წყლის მილი სხვადასხვა მოდელებისთვის შეიძლება განსხვავებული იყოს. გთხოვთ გაეცნოთ მოწოდებული წყლის მილის მონტაჟთან დაკავშირებულ ინსტრუქციებს.


ხრახნიან წყლის ონკანთან შეერთება



1. მიუერთეთ წყლის მილი წყლის ონკანს, შემდეგ კი საათის ისრის მიმართულებით დაატრიალეთ მაერთებელი, როგორც ნაჩვენებია.



2. მილის მეორე ბოლო მიუერთეთ სარეცხი მანქანის უკან არსებულ წყლის შესასვლელ სარქველს. მოსაჭერად დაატრიალეთ მილი საათის ისრის მიმართულებით.



3. გახსენით წყლის ონკანი და დააკვირდით, შეერთების ადგილიდან წყალი ხომ არ ჟონავს. წყლის გაჟონვის აღმოჩენის შემთხვევაში, გაიმეორეთ ზემოაღნიშნული საფეხურები.

⚠ ფრთხილად


წყლის გაჟონვის დაფიქსირების შემთხვევაში, გამორთეთ სარეცხი მანქანა და ჩახსენით კვების წყაროდან. ამის შემდეგ, თუ წყალი მილიდან ჟონავს, დაუკავშირდით Samsung-ის ადგილობრივ მომსახურების ცენტრს, ხოლო თუ ონკანიდან ჟონავს, დაუკავშირდით სანტექნიკოსს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამან შეიძლება ელექტროჩხვლეტა გამოიწვიოს.




⚠ გაფრთხილება

წყლის მილი ძლიერად არ დაჭიმოთ. თუ მილი ძალიან მოკლეა, შეცვალეთ ის უფრო გრძელი, მაღალი წნევის მილით.


უხრახნო წყლის ონკანთან შეერთება




1. მოხსენით ადაპტორი (A) წყლის მილიდან (B).



2. Phillips-ის ტიპის (ფიგურული) სახრახნის გამოყენებით მოუშვით ადაპტორზე არსებული ოთხი ხრახნი.




3. დაიჭირეთ ადაპტორი და დაატრიალეთ დეტალი (C) ისრის მიმართულებით მისი 5 მმ-ით მოსაშვებად(*).



4. მიაერთეთ ადაპტორი წყლის ონკანზე და მოუჭირეთ ხრახნები, ამავდროულად ადაპტორი ხელით გეჭიროთ.
5. მოსაჭერად დაატრიალეთ დეტალი (C) ისრის მიმართულებით.



მონტაჟი




- დაიჭირეთ **დეტალი (D)** ქვემოთ ჩამოწეულ მდგომარეობაში წყლის მილზე, შეაერთეთ წყლის მილი ადაპტორზე. შემდეგ გაუშვით ხელი **დეტალს (D)**. მილი დამაგრდება ადაპტორზე, ამ დროს გაიგებთ ტკაცანის ხმას.

- წყლის მილის შეერთების დასასრულებლად, იხილეთ „**ხრახნიან წყლის ონკანთან შეერთება**“ სექციის მე-2 და მე-3 პარაგრაფები.

შენიშვნა

- მას შემდეგ, რაც წყლის მილს გადამყვანს დააერთებთ, წყლის მილის ქვემოთ დაქაჩვით შეამოწმეთ, რომ ის სათანადოდ არის დაერთებული.
- გამოიყენეთ სტანდარტული ტიპის წყლის ონკანები. თუ ონკანი ოთხკუთხა ფორმის ან ძალიან დიდი ზომისაა, ონკანის ადაპტორთან მიერთებამდე მოხსენით შუასადები რგოლი.


დამატებით ცხელი წყლის შემავალი მილის მეორე მოდულებისთვის:



- ცხელი წყლის მილის წითელი ფერის ბოლო შეაერთეთ სარეცხი მანქანის უკანა მხარეს არსებულ ცხელი წყლის შემავალ მილზე.
- ცხელი წყლის მილის მეორე ბოლო შეაერთეთ ცხელი წყლის ონკანზე.



აკვა-მილი (მხოლოდ შესაბამისი მოდელები)




აკვა-მილი აფრთხილებს მომხმარებელს წყლის გაჟონვის რისკის არსებობის შესახებ. ის აკონტროლებს წყლის დინებას და გაჟონვის შემთხვევაში შლანგის ცენტრში არსებული ინდიკატორი (A) წითლად ინთება.

შენიშვნა

წყლის გაჟონვის საწინააღმდეგო სისტემის მილი უნდა მოერგოს წყლის ონკანს და არა სარეცხ მანქანას.

ნაბიჯი 5 წყლის გამოსაშვები მილის მდებარეობის შერჩევა


წყლის გამოსაშვები მილის შეიძლება სამ მდგომარეობაში დამონტაჟდეს:



ხელსაბანი ნიჟარის კიდესთან

წყლის დაცლის მილი უნდა მოთავსდეს იატაკიდან 60-90 სმ (*) სიმაღლეზე. წყლის დაცლის მილის ბოლოს მოხრილ მდგომარეობაში დასაფიქსირებლად, გამოიყენეთ მოწოდებული მილის პლასტმასის მიმმართველი (A). სტაბილური დრენაჟის უზრუნველსაყოფად, ფიქსატორი დაამაგრეთ კედელზე კაუჭის გამოყენებით.

მონტაჟი




სადრენაჟე მილში

სადრენაჟე მილი უნდა იყოს 60-90 სმ სიმაღლის (*). რეკომენდებულია 65 სმ სიმაღლის ვერტიკალური მილის გამოყენება.

- წყლის გამოსაშვები მილის დასაფიქსირებლად, გამოიყენეთ მოწოდებული მილის პლასტმასის მიმმართველი (იხილეთ სურათი).
- დრენაჟის დროს წყლის დინების სიფონირების თავიდან ასაცილებლად, წყლის გამოსაშვები მილი სადრენაჟე მილში მოათავსეთ 15 სმ-ის სიღრმეზე.
- წყლის გამოსაშვები მილის მოძრაობის თავიდან ასაცილებლად მილის მიმმართველი მიამაგრეთ კედელზე.

სადრენაჟე დაწნევის მილის მოთხოვნები:

- მინიმალური დიამეტრი: 5 სმ
- მინიმალური გამტარუნარიანობა: 60 ლიტრი წუთში




ხელსაბანი ნიჟარის სადრენაჟე მილის განშტოებაში

სადრენაჟე მილის განშტოება უნდა მდებარეობდეს ხელსაბანი ნიჟარის სიფონის ზემოთ ისე, რომ მილის ბოლო იატაკიდან, სულ ცოტა, 60 სმ-ის სიმაღლეზე აღმოჩნდეს.

(*) : 60 სმ

⚠ გაფრთხილება

მოხსენით სახურავი ნიჟარის სადრენაჟე მილის განშტოებაზე და შემდეგ მიუერთეთ მას სადრენაჟე მილი.



⚠ გაფრთხილება

არ დადოთ წყლის დამცვლი მილი ისეთ ადგილებში, სადაც მუდმივი წყალი ან გუბეებია. შესაძლოა, წყალი სარეცხ მანქანაში დაბრუნდეს.

ნაბიჯი 6 ელექტრონერგის მიწოდება

შეაერთეთ დენის სადენი კედლის როზეტში, რომელიც სწორად არის შეფასებული, დამიწებული და დაცულია დამცველით ან ამომრთველით. ამის შემდეგ დააჭირეთ **ელკვებას**, რომ ჩართოთ სარეცხი მანქანა.



ჩართვამდე

შენიშვნა

პირველ გარეცხვამდე რეცხვის სრული ციკლი უნდა ჩაატაროთ ისე, რომ დოლურა ცარიელი იყოს.

საწყისი პარამეტრები

გაშვების კალიბრაცია (რეკომენდებულია)

კალიბრაცია უზრუნველყოფს სარეცხი მანქანის მიერ წონის ზუსტ დადგენას. კალიბრაციის გაშვებამდე დარწმუნდით, რომ დოლურა ცარიელია.

1. გამორთეთ, შემდეგ კი ჩართეთ სარეცხი მანქანა.
2. კალიბრაციის რეჟიმში შესასვლელად დააჭირეთ **ტემპერატურას** **⏸** და **მოგვიანებით დასრულებისთვის** **⏸** ერთდროულად 3 წამის განმავლობაში. გამოჩნდება შეტყობინება „Cb“.
3. კალიბრაციის რეჟიმის გასაშვებად დააჭირეთ ლილავს **დანყება/დაპაუზება**.
4. დოლურა იტრიალებს დაახლოებით 3 წუთის განმავლობაში. (დოლურის ბრუნვის მიმართულება, შესაძლოა, განსხვავდებოდეს მოდელის მიხედვით).
5. კალიბრაციის დასრულების შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება „0“ და სარეცხი მანქანა ავტომატურად გამოირთვება.
6. სარეცხი მანქანა უკვე მზადაა გამოსაყენებლად.

რეცხვის წესები

ნაბიჯი 1 დახარისხება

სარეცხის დაახარისხეთ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- მოპყრობის ინსტრუქცია: დაახარისხეთ სარეცხი ბამბის, შერეული ქსოვილის, სინთეტიკის, აბრეშუმის, მატყლის და ხელოვნური აბრეშუმის მიხედვით.
- ფერი: გამიჯნეთ თეთრი და ფერადი სარეცხი.
- ზომა: დოლურაში სხვადასხვა ზომის ტანსაცმლის ერთად მოთავსება აუმჯობესებს რეცხვის შედეგს.
- მგრძნობელობა: დელიკატური ნივთები განცალკევებით გარეცხეთ „მსუბუქი დაუთოვების“ ფუნქციის გამოყენებით წმინდა, მატყლის ახალი ნივთების, ფარდებისა და აბრეშუმის ნივთებისთვის. შეამოწმეთ ნივთების იარლიყები.

შენიშვნა

დარწმუნდით, რომ შემომონმეთ მოპყრობის ეტიკეტები ტანსაცმელზე და რეცხვის დაწყებამდე ის შესაბამისად დაასორტირეთ.



ნაბიჯი 2 ცარიელი ჯიბეები

ყველა გასარეცხი ნივთის ჯიბე დაცალეთ

- ლითონის საგნებმა, როგორიცაა მონეტები, ქინძისთავები და ბალთები ტანსაცმელზე, შესაძლოა დააზიანოს, როგორც სხვა სარეცხი, ასევე დოლურა.

ღილებიანი და ნაქარგიანი ტანსაცმელი ამოაბრუნეთ

- თუ შარვლის ან ქურთუკის ელვამესაკრავი რეცხვისას გახსნილია, ამან შესაძლოა დოლურა დააზიანოს. ელვამესაკრავი უნდა დაიხუროს და თასმით დაფიქსირდეს.
- გრძელიკ თასმის მქონე ტანსაცმელი შესაძლოა სხვა ტანსაცმელში გადაიხლართოს. რეცხვის დაწყებამდე თასმები აუცილებლად შეკარით.

ნაბიჯი 3 გამოიყენეთ სარეცხი ბადე

- ბიუსტჰალტერები (წყლით რეცხვადი) სარეცხ ბადეში უნდა მოთავსდეს. ბიუსტჰალტერების ლითონის ნაწილებმა შესაძლოა გახიოს ქსოვილი და სხვა სარეცხი დააზიანოს.
- მცირე, მსუბუქი ტანსაცმელი, როგორიცაა წინდები, ხელთათმანები, გეტრები და ცხვირსახოცები შესაძლოა კარის სიახლოვეს გაიჭედოს. ისინი სარეცხის წვრილ ბადეში მოათავსეთ.
- ნუ გარეცხავთ თვით სარეცხ ბადეს მასში სარეცხის გარეშე. ამან შესაძლოა უჩვეულო ვიბრაცია გამოიწვიოს, რასაც შედეგად შესაძლოა სარეცხი მანქანის გადაადგილება და სხეულის დაზიანება მოყვეს.

ნაბიჯი 4 წინასწარი რეცხვა (აუცილებლობის შემთხვევაში)

აირჩიეთ წინასწარი რეცხვა ვარიანტი შერჩეული ციკლისთვის, თუ ტანსაცმელი ძალიან ჭუჭყიანია. წინასწარი რეცხვის ვარიანტის არჩევის შემთხვევაში, არ დაგავიწყდეთ ფხვნილის ტიპის სარეცხი საშუალების ჩაყრა რეცხვის მთავარ განყოფილებაში.

ნაბიჯი 5 განსაზღვრეთ სარეცხის მოცულობა

სარეცხი მანქანა არ გადატვირთოთ. გადატვირთვას შესაძლოა შედეგად არასათანადო რეცხვა მოყვეს. ტანსაცმლის სახეობის მიხედვით წონის შესახებ იხილეთ გვერდი 39.

შეწინააღმდეგეთ

საწოლის თეთრეულის ან გადასაფარებლების რეცხვისას რეცხვის დრო შესაძლოა გაიზარდოს ან წურვის ეფექტურობა შემცირდეს. საწოლის თეთრეულისა და გადასაფარებლებისთვის წურვის რეკომენდებული სიჩქარეა 800 ბრ/წთ, ხოლო წონა – 2,0 კგ ან ნაკლები.

გაფრთხილება

არადაბალანსებულმა სარეცხმა შესაძლოა შეამციროს წურვის ეფექტურობა.



ჩართვამდე

ნაბიჯი 6 გამოიყენეთ სარეცხი საშუალების სათანადო სახეობა

სარეცხი საშუალების სახეობა დამოკიდებულია ქსოვილის ტიპზე (ბაბმა, სინთეტიკა, დელიკატური ნივთები, მატყლი), ფერზე, რეცხვის ტემპერატურაზე და დაბინძურების ხარისხზე. ყოველთვის გამოიყენეთ „მცირეჟაფიანი“ სარეცხი საშუალება, რომელიც შექმნილია ავტომატური სარეცხი მანქანებისთვის.

შენიშვნა

- დაიცავით სარეცხი საშუალების მწარმოებლის რეკომენდაციები, რომლებიც ეფუძნება სარეცხის წონას, დაბინძურების ხარისხს და წყლის სიხისტეს თქვენს რეგიონში. თუ დარწმუნებული არ ხართ წყლის სიხისტესთან მიმართებით, წყალმომარაგების ადგილობრივ სამსახურს დაუკავშირდით.
- არ გამოიყენოთ სარეცხი საშუალება, რომელიც შეიძლება გამყარდეს ან გამაგრდეს. ასეთი სარეცხი საშუალება შესაძლოა დარჩეს გავლების ციკლის შემდეგ და დაბლოკოს წყლის დაცლის გასასვლელი.


გაფრთხილება

როდესაც გარეცხავთ შალს რეჟიმით ШЕРСТЬ/ДЕЛИКАТ. (შალი/დელიკატური), გამოიყენეთ მხოლოდ ბუნებრივი თხევადი სარეცხი საშუალება. სარეცხი ფხვნილი, შესაძლოა, სარეცხზე დარჩეს და ფერი შეუცვალოს მას, თუ გამოიყენება რეჟიმი ШЕРСТЬ/ДЕЛИКАТ. (შალი/დელიკატური).




სარეცხი კაფსულები

სარეცხი კაფსულების გამოყენებით საუკეთესო შედეგების მისაღწევად, დაიცავით შედეგი ინსტრუქციები.



1. კაფსულა ცარიელი დოლურის ფსკერზე, უკანა მხარეს მოათავსეთ.



2. სარეცხი დოლურაში კაფსულის ზემოთ მოათავსეთ.

⚠ გაფრთხილება


ისეთ რეჟიმებში, რომლებიც ცივ წყალს იყენებს ან რომლებიც ერთ საათზე ნაკლები დროის განმავლობაში სრულდება, რეკომენდებულია თხევადი სარეცხი საშუალების გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, კაფსული სრულად არ დაიშალოს.



ჩართვამდე

სარეცხი საშუალების უკრასთან დაკავშირებული მითითებები

სარეცხ მანქანას აქვს სამგანყოფილებიანი დისპენსერი: მარცხენა განყოფილება მთავარი რეცხვისთვის, ცენტრალური — ქსოვილის დამარბილებლებისთვის და მარჯვენა — წინასწარი რეცხვისთვის.




- I წინასწარი რეცხვის განყოფილება:** გამოიყენეთ წინასწარი რეცხვის სარეცხი საშუალება ან სახამებელი.
- II ძირითადი განყოფილება :** მოათავსეთ ძირითადი რეცხვის სარეცხი საშუალება, წყლის დამარბილებელი, გაღებობის სარეცხი საშუალება, მათეთრებელი და/ან ლაქების მოსაშორებელი საშუალება.
- ☼ დარბილების განყოფილება :** მოათავსეთ დანამატები, როგორიცაა ქსოვილის დამარბილებელი. არ გადააჭარბოთ მაქსიმუმის საზს (A) .

⚠ გაფრთხილება


- არ გახსნათ სარეცხი საშუალების უკრა, როცა სარეცხი მანქანა მუშაობს.
- არ გამოიყენოთ შემდეგი ტიპის სარეცხი საშუალებები უკრაში:
 - აბის ან კაფსულის ტიპები
 - ბურთის ან ბადის ტიპები
- განყოფილება რომ არ გაიჭედოს, კონცენტრირებული ან მაღალგამდიდრებული საშუალებები (ქსოვილის დამარბილებელი ან სარეცხი საშუალება) გამოიყენებამდე უნდა გაზავდეს წყლით.
- როცა არჩეულია „მოგვიანებით დასრულება“, არ დაამატოთ სარეცხი საშუალება პირდაპირ დოლურაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, სარეცხს ფერი გადაუვიდეს. „მოგვიანებით დასრულება“ არჩევის შემთხვევაში გამოიყენეთ სარეცხი საშუალების უკრა.
- დოლურას გასაწმენდად არ გამოიყენოთ საწმენდი საშუალებები. ქიმიური ნარჩენები დოლურაში ამცირებს რეცხვის ეფექტურობას.
- გამოიჩინეთ ყურადღება, რომ არ დაგეღვართ ქსოვილის დამარბილებელი სახურავზე ან მართვის პანელზე.




სარეცხი საშუალების უჯრაში სარეცხი საშუალებების დასამატებლად



1. გამოაცურეთ სარეცხი საშუალების უჯრა.
2. მოათავსეთ სარეცხი საშუალება **II მთავარ განყოფილებაში** მწარმოებლის ინსტრუქციის ან რეკომენდაციის შესაბამისად.




3. მოათავსეთ ქსოვილის დამარბილებელი **❄ დარბილების განყოფილებაში**. არ გადააჭარბოთ **მაქსიმუმის ხაზს (A)**. დამარბილებელი ნაწილდება რეცხვისას საბოლოო წყლის გავლების განმავლობაში.



4. თუ გსურთ წინასწარ გარეცხვა, მოათავსეთ სარეცხი საშუალება **I წინასწარი რეცხვის განყოფილებაში** მწარმოებლის ინსტრუქციის ან რეკომენდაციის შესაბამისად.
5. დახურეთ სარეცხი საშუალებების უჯრა.

ჩართვამდე




⚠ გაფრთხილება

- არ გამოიყენეთ სარეცხი ფხვნილი თხევადი სარეცხი საშუალების მიმმართველში.
- კონცენტრირებული ქსოვილის დამარბილებელი გამოყენებამდე უნდა გაზავდეს წყლით.
- არ მოათავსოთ ძირითადი სარეცხი საშუალება **❄ დარბილების განყოფილებაში.**

ოპერაციები

მართვის პანელი



01 ციკლის ამომრჩევი	ციკლის ასარჩევად შეატრიალეთ დისკო.
02 ეკრანი	ეკრანზე გამოისახება ინფორმაცია მიმდინარე რეჟიმის და სავარაუდო დარჩენილი დროის შესახებ, ან პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში გამოტანილი იქნება საინფორმაციო კოდი. შენიშვნა რეცხვის ფაქტობრივი დრო შესაძლოა განსხვავდებოდეს სავარაუდო დროისგან, რომელიც თავიდან იყო ნაჩვენები მართვის პანელზე თქვენ მიერ ციკლის არჩევისას.
03 ტემპერატურა	დააჭირეთ, რომ შეცვალოთ წყლის ტემპერატურა არჩეული რეჟიმისთვის.
04 წურვა	დააჭირეთ, რომ შეცვალოთ გაწურვის სიჩქარე მიმდინარე რეჟიმისთვის. ბრუნი წუთში (RPM) განსხვავდება მოდელის მიხედვით. გავლების დაყოვნება (ინდიკატორის გარეშე): საბოლოო წყლის გავლება ჩერდება, რათა სარეცხი დარჩეს წყალში. სარეცხის ამოსაღებად გაუშვით წყლის დაცლის ან წურვის პროცესი. - გავლების დაყოვნების ვარიანტის გამოსაყენებლად დააჭირეთ წურვას (ინდიკატორით, სანამ წურვის ვარიანტის ყველა ინდიკატორი არ გამოირთვება. წურვის გარეშე (ინდიკატორი): დოლურა არ ბრუნავს წყლის დაცლის საბოლოო პროცესის შემდეგ. „წურვის გარეშე“ ვარიანტის გამოსაყენებლად დააჭირეთ წურვას (ინდიკატორით, სანამ ვარიანტის ინდიკატორი (ინდიკატორი) არ ჩაირთვება.
05 ვარიანტები	დააჭირეთ, რომ აირჩიოთ ერთ-ერთი ვარიანტი შემდეგიდან: ინტენსიური, წინასწარი რეცხვა, დაღობვა და გავლება+. არჩევის გასაუქმებლად დააჭირეთ ხელახლა.


საპანელი

ოპერაციები

06 მოგვიანებით დასრულება	„მოგვიანებით დასრულება“ საშუალებას გაძლევთ, დააყენოთ მიმდინარე რეჟიმის დასრულების დრო. თქვენ მიერ დაყენებული პარამეტრების საფუძველზე, რეჟიმის დაწყების დრო განისაზღვრება მანქანის შიდა ლოგიკით. მაგალითად, ეს პარამეტრი გამოსადეგია მანქანის დაპროგრამებისთვის, რომ რეცხვა დაასრულოს იმ დროს, როცა, ჩვეულებრივ, სამსახურიდან სახლში ბრუნდებით.
07 ელკვება	შეხეთ სარეცხი მანქანის ჩასართავად/გამოსართავად.
08 დაწყება/დაპაუზება	დააჭირეთ ოპერაციის დასაწყებად/შესაწყვეტად.

*(3 sec)(3 წმ) : ხანგრძლივად დააჭირეთ 3 წამის განმავლობაში.

მარტივი ნაბიჯები დასაწყებად



- დააჭირეთ ელკვებას, რომ ჩართოთ სარეცხი მანქანა.
- შეაბრუნეთ რეჟიმის ამომრჩევი, რომ აირჩიოთ რეჟიმი.
- შეცვალეთ რეჟიმის პარამეტრები (ტემპერატურა °C და წურვა min) საჭიროებისამებრ.
- ვარიანტის დასამატებლად დააჭირეთ ვარიანტებს + . სასურველი ელემენტის ასარჩევად გამოიყენეთ ღილაკი ხელახლა.
- დააყენეთ მოგვიანებით დასრულება ⌚ , თუ გსურთ რეცხვის რეჟიმის სასურველ დროს დასრულება.
- დააჭირეთ ღილაკს დაწყება/დაპაუზება.

მუშაობის დროს რეჟიმის შესაცვლელად

- მუშაობის შესაწყვეტად დააჭირეთ ღილაკს დაწყება/დაპაუზება.
- აირჩიეთ სხვა რეჟიმი.
- ახალი რეჟიმის დასაწყებად ხელახლა დააჭირეთ ღილაკს დაწყება/დაპაუზება.

რეჟიმის მიმოხილვა

სტანდარტული რეჟიმები

რეჟიმი	აღწერილობა	მაქსიმალური წონა (კგ)
ХЛОПОК (ბამბა)	- გამოიყენება ბამბის ტანსაცმლის, საწოლის თეთრეულის, მაგიდის გადასაფარებლის, საცვლების, პირსახოცების ან პერანგების გასარეცხად. რეცხვის დროის და გავლებების რაოდენობის შეზღუდვა ხდება ავტომატურად, სარეცხის წონის გათვალისწინებით. - ოდნავ დაბინძურებული ბამბის საგნების წმენდისთვის ნომინალურ ტემპერატურაზე 20 °C.	მაქსიმალური
☐ ☑ ХЛОПОК (ბამბა)	- ოპტიმალური შედეგი ელექტროენერგიის ეკონომიურად მოხმარებასთან ერთად, ბამბის ტანსაცმლის, საწოლის თეთრეულის, მაგიდის გადასაფარებლის, საცვლების, პირსახოცების ან პერანგების რეცხვისას. - ეკონომიურ რეჟიმზე მუშაობის დროს რეცხვის რეალური ტემპერატურა შეიძლება მითითებულზე დაბალი იყოს.	მაქსიმალური
СИНТЕТИКА (სინთეტიკა)	ქსოვილებისთვის, რომლებიც დამზადებულია პოლიესტერისგან (დიოლენი, ტრევირა), პოლიამიდისგან (პერლონი, ნეილონი) ან სხვა მსგავსი ქსოვილისგან.	3,0
ПОЛОСКАНИЕ + ОТЖИМ (გავლება+ დატრიალება)	ამ ფუნქციის გამოყენებისას, ქსოვილის დამარბილებლის გამოყენების შემდეგ, კიდევ ერთი გავლების ციკლი ირთვება.	მაქსიმალური
СЛИВ/ОТЖИМ (წყლის გაშვება/ დატრიალება)	დოლურადან წყლის დაცლისთვის და წურვის დამატებითი პროცესის ჩასატარებლად სარეცხიდან ტენიანობის ეფექტურად მოსაშორებლად.	მაქსიმალური

ოპერაციები

სამწმენდი

რეჟიმი	აღწერილობა	მაქსიმალური წონა (კგ)
ОЧИСТКА БАРАБАНА (დოლურის გაწმენდა)	- ასუფთავებს დოლურას ჭუჭყისგან და ბაქტერიებისგან. - ეს პროცესი გაშვებული უნდა იქნას რეცხვის ყოველი 40 ციკლის შემდეგ, სარეცხი საშუალების ან მათეთრებლების გამოყენების გარეშე. შეტყობინება ჩნდება ყოველი მე-40 რეცხვის შემდეგ. - დარწმუნდით, რომ დოლურა ცარიელია. - დოლურას გასაწმენდად არ გამოიყენოთ საწმენდი საშუალებები.	-
БЫСТРАЯ СТИРКА 15' (15' სწრაფი რეცხვა)	- ეს ფუნქცია გამოიყენება 2,0 კგ-მდე წონის მცირედ დასვრილი ტანსაცმლისთვის, როდესაც გსურთ მისი სწრაფად გარეცხვა. - გამოიყენეთ 20 გ-ზე ნაკლები სარეცხი საშუალება. 20 გ-ზე მეტი სარეცხი საშუალების გამოყენების შემთხვევაში, ტანსაცმელზე შეიძლება დარჩეს სარეცხი საშუალების ნარჩენები. - თხევადი სარეცხი საშუალების გამოყენების შემთხვევაში, გამოიყენეთ მაქსიმუმ 20 მლ თხევადი სარეცხი საშუალება.	2,0
СМЕШАННЫЕ ТКАНИ (შერეული ქსოვილი)	შერეული ტანსაცმლისთვის, რომელიც ბამბისა და სინთეტიკისგან დამზადებული ქსოვილებისთვის..	3,0
ШЕРСТЬ/ДЕЛИКАТ. (შალი/დელიკატური)	- განკუთვნილია მანქანით რეცხვადი შალისა და დელიკატური ქსოვილებისთვის, როგორიცაა ნაქარგი ქსოვილები, ლიფები, ქალის თეთრელი (აბრეშუმის) და ხელით რეცხვადი სხვა ქსოვილები. - რეჟიმი „ШЕРСТЬ/ДЕЛИКАТ.“ (შალი/დელიკატური) უზრუნველყოფს სარეცხის ნელ რეცხვას და ჩალბობას, რაც ბოჭკოებს შეკუმშვისგან/დეფორმაციისგან იცავს. - რეკომენდებულია ნეიტრალური სარეცხი საშუალება და თხევადი სარეცხი საშუალება.	1,5

რეჟიმი	აღწერილობა	მაქსიმალური წონა (კგ)
ЦВЕТНАЯ ОДЕЖДА (ფერადი)	ხასიათდება დამატებითი გავლების ციკლით და ბრუნვის სიჩქარის შემცირებით, რაც უზრუნველყოფს ნაზ რეცხვას და საფუძვლიან გავლებას.	3,0

ორთქლის რეჟიმები

რეჟიმი	აღწერილობა	მაქსიმალური წონა (კგ)
ПОСТЕЛЬНОЕ БЕЛЬЕ (საწოლის თეთრეული)	- ზეწრებისთვის, საწოლის გადასაფარებლებისთვის და ა.შ. - საუკეთესო შედეგების მისაღებად საწოლის თეთრეულის მხოლოდ 1 სახეობა გარეცხეთ.	1,5
ГИГИЕНИЧЕСКАЯ СТИРКА С ПАРОМ (ჰიგიენური ორთქლი)	- ბამბისა და სელის ქსოვილი, რომელიც უშუალო შეხებაში იყო კანთან, როგორიც არის საცვლები. - ჰიგიენის ოპტიმალური შედეგების მისაღებად, ტემპერატურა უნდა იყოს 60 °C ან მეტი. - ორთქლის ციკლები ალერგიისგან დაცვას და ბაქტერიების განადგურებას (სტერილიზაცია) უზრუნველყოფს.	3,0

რეჟიმის განმავლობაში, შესაძლოა არ წარმოიქმნას ან ხილვადი არ იყოს ორთქლი.

ოპერაციები

ვარიანტები

ვარიანტი	აღწერილობა
 გავლება+	• დააჭირეთ ამ ღილაკს, რომ დაამატოთ გავლების დამატებითი რეჟიმები.
 დაღობა	• დააჭირეთ, რომ გაააქტიუროთ/გათიშოთ ფუნქცია დაღობის ფუნქცია. ეს ფუნქცია გეხმარებათ სხვადასხვა სახის ძნელად მოსაშორებელი ლაქების მოცილებაში.
 წინასწარი რეცხვა	• რეცხვის ძირითად ციკლამდე შეგიძლიათ, წინასწარი რეცხვის ციკლი დაამატოთ.
 ინტენსიური	• განკუთვნილია ძლიერ დაბინძურებული სარეცხისთვის. სარეცხი მანქანის მუშაობის თითოეული ციკლი ჩვეულებრივზე უფრო ხანგრძლივია.


მოგვიანებით დასრულება

თქვენ შეგიძლიათ განსაზღვროთ სარეცხი მანქანის მიერ რეცხვის მოგვიანებით, ავტომატურად დასრულების დრო 1-დან 24 საათამდე (1 საათიანი მატებით). ეკრანზე გამოსახული ციფრები აღნიშნავს, თუ რამდენ საათში დასრულდება მიმდინარე ციკლი.

1. აირჩიეთ რეჟიმი. შემდეგ, საჭიროებისამებრ, შეცვალეთ რეჟიმის პარამეტრები.
2. დააჭირეთ **მოგვიანებით დასრულება** განმეორებით, სანამ არ დაყენდება დასრულების სასურველი დრო.
3. დააჭირეთ ღილაკს **დანყება/დაპაუზება**.
შესაბამისი ინდიკატორი ჩაირთვება, საათი კი აჩვენებს დროს.
4. **მოგვიანებით დასრულების** გასაუქმებლად გადატვირთეთ სარეცხი მანქანა **ელკვებაზე** დაჭერით.

რეალური შემთხვევა

თქვენ ორსაათიანი ციკლის დასრულება ამ წუთიდან 3 საათში გსურთ. ამისათვის თქვენ უმატებთ მოგვიანებით დასრულება ვარიანტს 3-საათიან პარამეტრს და აწვებით ღილაკს **დანყება/დაპაუზება** 14:00-ზე.რა ხდება შემდეგ? სარეცხი მანქანა იწყებს მუშაობას 15:00-ზე და ასრულებს 17:00-ზე.ქვევით ამ მაგალითის თაიმილინია მოცემული.



პარამეტრები

ბლოკირება ბავშვებისთვის

ბავშვების მიერ გამოწვეული ინციდენტების თავიდან ასაცილებლად „ბავშვისთვის დაბლოკვა“ ბლოკავს ყველა ლილავს ელკვების გარდა.

- ბავშვისთვის დაბლოკვის ფუნქციის დასაყენებლად დააჭირეთ **ტემპერატურას**  და **წურვას**  ერთდროულად 3 წამის განმავლობაში.
- ბავშვისთვის დაბლოკვის ფუნქციის მოსახსნელად დააჭირეთ **ტემპერატურას**  და **წურვას**  ერთდროულად 3 წამის განმავლობაში.

შენიშვნა

- ბავშვისთვის დაბლოკვის მდგომარეობაში ჯერ „ბავშვისთვის დაბლოკვა“ უნდა მოხსნათ, თუ გსურთ სარეცხი საშუალების ან სარეცხის დამატება.
- თქვენ მიერ არჩეული პარამეტრი შეინახება მას შემდეგაც კი, რაც მანქანას გადატვირთავთ.

გამაფრთხილებელი სიგნალის გამორთვა

თქვენ შეგიძლიათ ჩართოთ ან გამორთოთ რეჟიმის დასრულების მელოდია. ამის მიუხედავად, სხვა ხმოვანი სიგნალები აქტიური დარჩება.

- გამაფრთხილებელი სიგნალის დასადუმებლად დააჭირეთ **წურვას**  და **ვარიანტებს**  ერთდროულად 3 წამის განმავლობაში.
- სიგნალის ხმის ჩასართავად დააჭირეთ ხელახლა 3 წამის განმავლობაში.



მოვლა

დაიცავით სარეცხი მანქანის სისუფთავე, რათა თავიდან აიცილოთ მწარმოებლურობის შემცირება და გაახანგრძლივოთ მისი მოქმედების ვადა.

ОЧИСТКА БАРАБАНА (დოლურის განმენდა)

რეგულარულად შეასრულოთ ეს ციკლი, რათა განმინდოთ დოლურა ბაქტერიებისგან. ეს ციკლი წყალს 60 °C–70 °C-მდე აცხელებს და, ამასთანავე, აშორებს დაგროვებულ ჭუჭყს კარის რეზინის შუასადებიდან.

1. დააჭირეთ **ელვკვებას**, რომ ჩართოთ სარეცხი მანქანა.
2. ჩართეთ **რეჟიმის ამომრჩევი**, რომ აირჩიოთ **ОЧИСТКА БАРАБАНА (დოლურის განმენდა)**.
3. ხანგრძლივად დააჭირეთ **დანყებას/დაპაუზებას**.

🔊 შენიშვნა

- წყლის ტემპერატურა **ОЧИСТКА БАРАБАНА (დოლურის განმენდის)** დაყენებულია 70°C-ზე, რომლის შეცვლაც შეუძლებელია.
- რეკომენდებულია ყოველი 40 რეცხვის შემდეგ გაუშვათ **ОЧИСТКА БАРАБАНА (დოლურის განმენდის)** რეჟიმი.
- კირის ნადების თავიდან ასაცილებლად, დაამატეთ სარეცხი საშუალების სათანადო რაოდენობა წყლის სიხისტის შესაბამისად ან სარეცხ საშუალებასთან ერთად წყლის დამარბილებელი დაამატეთ.

ОЧИСТКА БАРАБАНА (დოლურის განმენდა) შემახსენებელი

მოდელიდან გამომდინარე, **ОЧИСТКА БАРАБАНА (დოლურის განმენდა)** შესხენება არის ხატულა ან შუქდიოდი.

ხატულებისთვის: ხატულა ანათებს მართვის პანელზე.

შუქდიოდისთვის: შუქდიოდი ანათებს **ОЧИСТКА БАРАБАНА (დოლურის განმენდა)**-ის გვერდით, ან მართვის პანელის ოფციების არეში.

- **ОЧИСТКА БАРАБАНА (დოლურის განმენდა)** შემახსენებელი მართვის პანელზე ყოველ 40 რეცხვაში ერთხელ აციმციმდება. რეკომენდებულია **ОЧИСТКА БАРАБАНА (დოლურის განმენდა)**-ის რეგულარულად ჩატარება.
- როდესაც პირველად შეამჩნევთ შემახსენებლის ციმციმს, შეგიძლიათ, უგულებელყოთ იგი 6 თანმიმდევრული რეცხვის განმავლობაში. მე-7-ე რეცხვიდან დაწყებული, შემახსენებელი აღარ გამოჩნდება. მიუხედავად ამისა, ის კვლავ გამოჩნდება მე-40 რეცხვისას.
- „0“ შეტყობინება შესაძლოა ბოლო პროცესის დასრულების შემდეგაც დარჩეს.
- თქვენ შეგიძლიათ ჩაიწეროთ **ОЧИСТКА БАРАБАНА (დოლურის განმენდის)** რეჟიმის გაშვების რაოდენობა **ელვკვების** ლილაკზე. ეს არ გააჩერებს ან გამორთავს მანქანას, მაგრამ აღნიშნავს თქვენი რეჟიმის რაოდენობას.
- „0“ შეტყობინება რომც არ გაჩერებს, მანქანა ნორმალურად განაგრძობს ფუნქციონირებას.
- ჰიგიენის დაცვის მიზნით რეკომენდებულია ამ ციკლის რეგულარული გაშვება.



Smart Check [☒]

ამ ფუნქციის ჩასართავად ჯერ Play Store-იდან ან App Store-იდან უნდა ჩამოტვირთოთ აპი Samsung Smart Washer და დააინსტალიროთ კამერის ფუნქციის მქონე მობილურ მოწყობილობაზე.

გონივრული შემოწმების ფუნქცია ოპტიმიზებულია Galaxy და iPhone სერიისთვის (მხოლოდ შესაბამისი მოდელებისთვის).

1. როდესაც სარეცხი მანქანა აღმოაჩენს შესამოწმებელ პრობლემას, ეკრანზე ჩნდება საინფორმაციო კოდი. გონივრული შემოწმების რეჟიმში შესასვლელად დააჭირეთ **ვარიანტებს**  და **მოგვიანებით დასრულებას**  ერთდროულად 3 წამის განმავლობაში.
2. სარეცხი მანქანა დაიწყებს თვითდიაგნოზირების პროცედურას და აჩვენებს საინფორმაციო კოდს, თუ დაფიქსირდება პრობლემა.
3. გახსენით აპი Samsung Smart Washer თქვენს მობილურ მოწყობილობაზე და შეეხეთ „Smart Check“.
4. დადეთ მობილური მოწყობილობა სარეცხი მანქანის ეკრანთან ახლოს, რომ სმარტფონის კამერა და სარეცხი მანქანა ერთმანეთის პირისპირ იყოს. ამის შემდეგ, საინფორმაციო კოდს ავტომატურად აღიქვამს აპი.
5. როდესაც საინფორმაციო კოდი სწორად აღიქმება, აპი მოგაწვდით დეტალურ ინფორმაციას პრობლემის შესახებ და შესაბამის ინსტრუქციას.


შენიშვნა

- ფუნქციის სახელი, გონივრული შემოწმება, შესაძლოა, განსხვავდებოდეს ენის მიხედვით.
- თუ სარეცხი მანქანა ეკრანზე სინათლეს ირეკლავს, აპმა, შესაძლოა, ვერ აღიქვას საინფორმაციო კოდი.
- თუ აპი ვერ აღიქვამს გონივრული შემოწმების კოდს თანმიმდევრულად, შეიყვანეთ საინფორმაციო კოდი ხელით აპის ეკრანზე.


მოვლა

წყლისგან ავარიული დაცლა

ელექტროენერგიის წყვეტის შემთხვევაში დაცალეთ დოლურაში არსებული წყალი მანამ, სანამ სარეცხს გამოიღებთ.



1. გამორთეთ სარეცხი მანქანა ელექტროროზეტიდან.
2. გახსენით ფილტრის ხუფი (A).
 - ტიპი 1: გასახსნელად რბილად დააწეეთ ფილტრის ხუფის (A) ზედა ნაწილს.
 - ტიპი 2: ფილტრის ხუფის (A) გასახსნელად გამოიყენეთ მონეტა ან ლითონის თხელი საგანი.
 - ტიპი 3: გასახსნელად ქვევით დააწეეთ ფილტრის ხუფის (A) ჩამკეტს.
3. მოათავსეთ ცარიელი, ტევადი კონტეინერი ხუფის გარშემო და გადაჭიმეთ ავარიული დაცლის მილი კონტეინერამდე, ხოლო მილის თავი (B) გეჭიროთ ხელში.



4. გახსენით მილის თავი და საშუალება მიეცით წყალს ავარიული დაცლის მილში (C), კონტეინერში გადაედინოს.
5. დასრულების შემდეგ დახურეთ მილის თავი და უკან დააბრუნეთ მილი. ამის შემდეგ დახურეთ ფილტრის ხუფი.

შენიშვნა

ტევადი კონტეინერის გამოყენება დაგჭირდებათ, რადგან დოლურაში შესაძლოა მოსალოდნელზე მეტი წყალი იყოს.


განმეხდა

სარეცხი მანქანის ზედპირი


გამოიყენეთ რბილი ნაჭერი არააბრაზიული საყოფაცხოვრებო სარეცხი საშუალებით. სარეცხი მანქანაზე წყალი არ მოასხუროთ.

ბადისებრი ფილტრი

წყლის მილის ბადისებრი ფილტრი წელიწადში ერთხელ ან ორჯერ განმინდეთ.



1. გამორთეთ მანქანა და გამოაერთეთ დენის სადენი.
2. დახურეთ წყლის ონკანი.
3. მოუშვიტ და მოხსენით წყლის მილის სარეცხი მანქანის უკანა ნაწილიდან. მილს ნაჭერი დააფარეთ, რათა წყალი არ გადმოვიდეს.



4. შემშვები სარქველიდან ბადისებრი ფილტრის ამოსაღებად ბრტყელტუჩა გამოიყენეთ.
5. ღრმად ჩაუშვიტ ბადისებრი ფილტრი წყალში, რათა ხრახნიანი კონექტორიც წყალში ჩაშვებული აღმოჩნდეს.
6. სრულად გააშრეთ ბადისებრი ფილტრი.
7. დააბრუნეთ ბადისებრი ფილტრი შემშვებ სარქველში და ხელახლა მიუერთეთ წყლის მილი შემშვებ სარქველს.
8. გახსენით წყლის ონკანი.


შენიშვნა

თუ ბადისებრი ფილტრი დაბინძურებული იქნება, ეკრანზე ჩანს საინფორმაციო კოდი „4C“.


მოვლა

ნარჩენების ფილტრი


გაჭედვის თავიდან ასაცილებლად განმინდეთ ნარჩენების ფილტრი თვეში ორჯერ. ნარჩენების დაბინძურებულმა ფილტრმა შესაძლოა შეამციროს ბუშტუკების ეფექტურობა.



1. გამორთეთ მანქანა და გამოაერთეთ დენის სადენი.
2. დაცალეთ დოლურაში დარჩენილი წყალი. იხილეთ **წყლისგან ავარიული დაცლა** განყოფილება.
3. გახსენით **ფილტრის ხუფი**.
4. მარცხნივ გადაატრიალეთ ნარჩენების ფილტრის სახელური და დაცალეთ დარჩენილი წყალი.



5. ნარჩენების ფილტრი რბილი ჯაგრისით განმინდეთ. დარწმუნდით, რომ წყლის დაცლის ტუმბოს პროპელერი ფილტრში არ არის დაბინძურებული.
6. უკან დააბრუნეთ ნარჩენების ფილტრი, ხოლო ფილტრის სახელური მარჯვნივ გადაატრიალეთ.



შენიშვნა

- ნარჩენების ზოგი ფილტრი ალჭურვილია უსაფრთხოების სახელურით, რომლის დანიშნულებაცაა უბედური შემთხვევების არიდება ბავშვების მხრიდან. ნარჩენების ფილტრის უსაფრთხოების სახელურის გასახსნელად დააწექით მას და მოაბრუნეთ საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით. უსაფრთხოების სახელურის ზამბარიანი მექანიზმი გეხმარებათ ფილტრის გახსნაში.
- ნარჩენების ფილტრის უსაფრთხოების სახელურის დასაკეტად მოაბრუნეთ ის საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით. ზამბარა ტკაცანის ხმას გამოსცემს, რაც ნორმალურია.


შენიშვნა

თუ ნარჩენების ფილტრი დაბინძურებულია, ეკრანზე ჩანს საინფორმაციო კოდი „5C“.


⚠ გაფრთხილება

- დარწმუნდით, რომ ფილტრის სახელური სათანადოდ არის დახურული ფილტრის გაწმენდის შემდეგ. საწინააღმდეგო შემთხვევაში ამან შეიძლება წყლის გაჟონვა გამოიწვიოს.
- დარწმუნდით, რომ ფილტრი სათანადოდ არის ჩასმული მისი გაწმენდის შემდეგ. საწინააღმდეგო შემთხვევაში ამან შეიძლება ოპერაციის შეფერხება ან წყლის გაჟონვა გამოიწვიოს.

სარეცხი საშუალების უკრა




1. უკრის შიგნით მოხსნის ბერკეტის დაჭერისას, გამოაცურეთ და მოხსენით უკრა.



2. გაასუფთავეთ უკრის კომპონენტები ონკანის წყლით, რბილი ჯაგრისის გამოყენებით.

მოვლა



3. გაასუფთავეთ უჯრის უბე რბილი ჯაგრისით.
4. ხელახლა ჩასვით თხევადი სარეცხი საშუალების კონტეინერი უჯრაში.
5. შეაცურეთ უჯრა შიგნით, რომ დაკეტოთ.

შენიშვნა

სარეცხი საშუალების უჯრის ჩასმამდე დარწმუნდით, რომ უჯრის უბე ბოლომდე არის გამშრალი.

შენიშვნა

დარჩენილი სარეცხი საშუალების მოსაშორებლად, შეასრულეთ **ПОЛОСКАНИЕ+ОТЖИМ** (გავლება+დატრიალება) რეჟიმი ცარიელი ბარაბნის პირობით.

გაცივნისგან აღდგენა

თუ ტემპერატურა 0°C-ს ჩამოსცდება, სარეცხი მანქანა შეიძლება გაიყინოს.

1. გამორთეთ მანქანა და გამოაერთეთ დენის სადენი.
2. წყლის მილის გასაღებობად წყლის ონკანს თბილი წყალი დაასხით.
3. გამოაერთეთ წყლის მილი და თბილ წყალში ჩადეთ.
4. ჩაასხით დოლურაში თბილი წყალი და დატოვეთ 10 წუთის განმავლობაში.
5. ხელახლა მიუერთეთ წყლის მილი წყლის ონკანს.

შენიშვნა

თუ სარეცხი მანქანა კვლავაც გაუმართავად განაგრძობს მუშაობს, გაიმეორეთ ზემოაღწერილი ნაბიჯები მანამ, სანამ ის გამართულად არ დაიწყებს მუშაობას.

დაცვა ხანგრძლივი გამოუყენებლობისას

თავიდან აიცილეთ სარეცხი მანქანის გამოუყენებლობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში დაცალეთ სარეცხი მანქანა წყლისგან და გამოაერთეთ დენის სადენი.

1. ჩართეთ **რეჟიმის ამომრჩევი**, რომ აირჩიოთ **ПОЛОСКАНИЕ+ОТЖИМ** (გავლება+დატრიალება).
2. გამოცალეთ დოლურა და დააჭირეთ ლილავს **დაწყება/დაპაუზება**.
3. ციკლის დასრულების შემდეგ დაკეტეთ წყლის ონკანი და გამოაერთეთ წყლის მილი.
4. გამორთეთ მანქანა და გამოაერთეთ დენის სადენი.
5. გახსენით კარი, რათა დოლურაში ჰაერმა შეძლოს ცირკულაცია.



გაუმართაობის აღმოფხვრა

საკონტროლო პუნქტები

თუ სარეცხი მანქანის მუშაობისას პრობლემას წააწყდებით, პირველ რიგში ეცადეთ ის ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოძებნოთ და გაეცნოთ მისი აღმოფხვრის რეკომენდაციებს.

პრობლემა	მოქმედება
